დადგენილება N 047044

ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

9 ივლისი 2025 წ. ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის იურისტი გულინა კუნჭულია

2. საქმის განხილვის თარიღი: 2025 წლის 9 ივლისი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ნონა ბუკია პ.ნ 19001085820 მცხოვრები ზუგდიდი რიგის 5 აბონენტის ნომერი 1111164958

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

ფიზიკურმა პირმა ნონა ბუკიამ მოახდინა დავალიანების გამო შეწყვეტილი ბუნებრივი აირის თვითნებური ჩართვა განმეორებით, შესაბამისად ადგილი ჰქონდა ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარებას.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96^1 მუხლის მეორე ნაწილით, 200, 228^2, 236-237, 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის #12 და 2010 წლის 12 აგვისტოს #14 დადგენილებებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

6. **ფ.პ** ნონა ბუკიას პ.ნ 19001085820 **დაედოს** ადმინისტრაციული სახდელი **ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით.**

(სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დასახელება)

7. ადმინისტრაციული ჯარიმა ჩაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში, სახაზინო კოდი 302003247, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში და წარმოდგენილ იქნეს ჯარიმის გადახდის ქვითარი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეწყდება გაზმომარაგება და დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: ქ.კუნჭულია.